ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

საქართველოს ეროვნული ინტელექტუალური საკუთრების ცენტრი
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA
www.sakpatenti.gov.ge

EUIPO
EUROPEAN UNION INTELLECTUAL PROPERTY OFFICE

EUGIPP

ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი პროექტი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ

ideas powered @SCHOOL

ინტელექტუალური საკუთრება განათლებაში

ინტელექტუალური საკუთრების დღე

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და მას ახორციელებს ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყება (EUIPO)

ინტელექტუალური საკუთრების დღე

სარჩევი

- შესავალი 3
  - მიზანი 3
  - კონკრეტული ამოცანები 3
- მომზადება 4
- აქტივობები 5
  - დაწყებითი 5
  - საბაზო 6
- შემდგომი საქმიანობა 7



შესავალი

გლობალიზებულ და ციფრული ტექნოლოგიებით მართულ 21-ე საუკუნეში ევროპის ეკონომიკური, კულტურული თუ სოციალური დოვლათის უმნიშვნელოვანეს წყაროდ დღეს - ადრინდელზე კიდევ უფრო მეტად - შემოქმედებითობა, ინოვაცია და მეწარმეობაა ქცეული. საკუთარი ნამუშევრის დაცვა და სხვისი ნამუშევრის პატივისცემა სულ უფრო მზარდ როლს თამაშობს მოქალაქეთა პროფესიულ თუ პირად ცხოვრებაში. ამიტომ ინტელექტუალური საკუთრების ძირითადი პრინციპები ღრმად უნდა ჩაინერგოს ახალგაზრდა ევროპელების განათლებაში. მოზარდებმა პატივი უნდა სცენ როგორც საკუთარ, ისე სხვათა იდეებს, გააცნობიერონ მათი ფასი და ის უფლებები, რომლებიც ახალგაზრდა მოქალაქეებს ინტელექტუალური პოტენციალისაგან ფინანსური, სოციალური თუ კულტურული სარგებლის მიღების შესაძლებლობას აძლევს.

მიზანი

ინტელექტუალური საკუთრების დღე მთელ სასკოლო თემს ეხება. სკოლა სრულად ერთვება აქტივობებში, რომლებიც კრეატიულობის, ინოვაციისა და მეწარმეობის ხელშესაწყობად იმართება და რომლებიც ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელობის გააზრებას, სხვების შემოქმედებისადმი პარტივისცემის გაღვივებას ემსახურება.

კონკრეტული ამოცანები

ინტელექტუალური საკუთრების სასკოლო დღის აქტივობებში მონაწილეობის შედეგად:

- **მოსწ** მოსწავლეები გაიაზრებენ, რომ მათ იდეებსა და შემოქმედებითობას აქვს თანდაყოლილი ღირებულება, რომელსაც სხვები პატივისცემით უნდა მოეპყრან და რომლის დაცვაც შესაძლებელია.
- **მოსწ** მოსწავლეებს ეცოდინებათ, რომ პატივი უნდა სცენ სხვების იდეებსა და შემოქმედებითობას.
- **მოსწ** მოსწავლეები როგორც ზოგადად, ისე ასაკისათვის შესაფერისი ფორმებით გაეცნობიან ინტელექ-ტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ ცნებებსა და ინსტრუმენტებს, როგორებიცა: სასაქონლო ნიშნები, საავტორო უფლებები, პატენტები და ა.შ.
- **მასწ** მასწავლებლები გაეცნობიან განათლებაში ინტელექტუალური საკუთრების ცნებების ჩანერგვასთან დაკავშირებულ საკითხებს, აგრეთვე, იმ საკვანძო ცნებებსა და წესებს, რომლებიც სხვადასხვა ასაკის მოწავლეებს უნდა ასწავლონ.
- **მასწ** მასწავლებლებს გაუჩნდებათ სტიმული, რომ ინტელექტუალური საკუთრების ცნებები მთელი წლის განმავლობაში შეიტანონ სასწავლო პროგრამებში ასაკობრივი თავისებურებების გათვალის-წინებით. მათ მიეცემათ წვდომა ამ საქმიანობაში გამოსადეგ სხვადასხვა სახის მეთოდსა და მასალასთან.

მომზადება

თქვენს სკოლაში ინტელექტუალური საკუთრების დღის ჩასატარებლად წინასწარ უნდა მოაგვაროთ შემდეგი საკითხები:

მასწავლებლების ტრენინგი

ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყება (EUIPO) უზრუნველყოფს ონლაინ მასალას მასწავლებლების ტრენინგისათვის. სასურველია, რომ ეს მასალა გადაეცეთ კოორდინატორ მასწავლებლებს. მასწავლებელთა ტრენინგის მიზნებია:

- მასწავლებლები გაეცნონ ინტელექტუალური საკუთრების (IP) საფუძვლებს, ინსტრუმენტებსა და სასარგებლო ბმულებს კრეატიულობის, ინოვაციისა და მეწარმეობის თემატიკაზე;
- მასწავლებლებმა განიხილონ ინტელექტუალური საკუთრების სასკოლო დღის მიზნები, გამოსაყენებელი მასალები და საკუთარი როლი ამ ღონისძიების მოწყობაში.

ინტელექტუალური საკუთრების კოორდინატორი მასწავლებლები

სკოლამ უნდა დანიშნოს კოორდინატორი მასწავლებელი – მთელი სკოლის ან თითოეული საფეხურისთვის - სულ მცირე, ერთი მაინც. ეს მასწავლებლები იქნებიან შუამავლები EUIPO-ს/ინტელექტუალური საკუთრების ოფისსა და მათ სკოლას შორის. ისინი უზრუნველყოფენ ინფორმაციის დაუბრკოლებელ მიმოცვლას და ღონისძიების შეუფერხებლად ჩატარებას.

მშობლები და ადგილობრივი თემის წარმომადგენლები

რეკომენდებულია ღონისძიებაში მშობლების და ადგილობრივი თემის წარმომადგენლების ჩართვა ძირითადი სპიკერების ან სამუშაო შეხვედრების მასპინძლების როლში. ამისთვის უპირველესი კანდიდატები არიან ადამიანები, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია ინტელექტუალურ საკუთრებასთან, მეცნიერებასთან ან ინოვაციებთან, შემოქმედებასთან. EUIPO მათ სამუშაო შეხვედრების მომზადების, ორგანიზებისა და ჩატარებისთვის საჭირო მითითებებს მიაწვდის.

ღონისძიების მომზადებისთვის საჭირო რესურსები

ღონისძიების ჩატარებამდე EUIPO მოგაწვდით შემდეგ მასალებს:

- პოსტერი;
- ინტელექტუალური საკუთრების დღის ბუკლეტი;
- ელექტრონული წერილი ღონისძიების შესახებ მშობლებისათვის;
- ელექტრონული წერილი ღონისძიების შესახებ მასწავლებლებისთვის;
- ინტელექტუალური საკუთრების (IP) ბროშურა მასწავლებლებისთვის.

ეს მასალები მოთხოვნის შემთხვევაში შეიძლება მოწოდებული იყოს სხვადასხვა ენაზე .



აქტივობები

ინტელექტუალური საკუთრების დღე მოიცავს ასაკობრივად შესაფერის მრავალფეროვან აქტივობებს სკოლის ყველა მოსწავლისთვის. სასურველია, რომ ზოგიერთ აქტივობას ინტელექტუალური საკუთრების სპეციალისტი ან საგანგებოდ მოწვეული სპიკერები გაუძღვეს.

ინტელექტუალური საკუთრების დღის აქტივობების მონახაზი

დაწყებითი საფეხურის აქტივობები

- კარაოკე-შხაპი
- სპორტული თამაშები
- ლოგოს შექმნა
- გამომგონებლის კუთხე
- სარეგისტრაციო ჯიხური
- შემოქმედებითი აქტივობები საკლასო ოთახში

საბაზო საფეხურის აქტივობები

- გახსნის და დახურვის აქტივობები
- შთამაგონებელი ვორქშოფები
- ლოგოს შექმნა
- IP-ის მასტერკლასები
- კარაოკე-შხაპი
- შემოქმედებითი აქტივობები საკლასო ოთახში

დაწყებითი საფეხური

სპორტული თამაშები

ინსტრუქციები და მასალები სამი თამაშისთვის, რომლებსაც მასწავლებლები მოსწავლეებს ათამაშებენ. ეს თამაშები მოსწავლეებს ასაკის შესაბამისად აწვდის ინტელექტუალური საკუთრების ცნებებს.

ლოგოს შექმნა

მითითებები მასწავლებლებისთვის, თუ როგორ ჩაატარონ კლასში ლოგოს შექმნის აქტივობა. მოსწავლეები ქმნიან და ხატავენ ლოგოებს დროშებზე, სამკერდე ნიშნებზე, ქუდებზე ან მაისურებზე.

სარეგისტრაციო ჯიხური

მითითებები, თუ როგორ უნდა დაიდგას სკოლაში სარეგისტრაციო ჯიხური, რომელშიც მოხალისეები იმუშავებენ; მოსწავლეები მათთან მიიტანენ საკუთარ ნამუშევრებს და მიიღებენ სერტიფიკატებს შემოქმედებითობისა და ინოვაციისთვის.

გამომგონებლის კუთხე

მითითებები მასწავლებლებისთვის, თუ როგორ მისცენ მოსწავლეებს პრობლემის გადაჭრის დავალებები, რომლებიც ავითარებს საკვანძო უნარებს და ინოვაციურ შთაგონებასაც აჩენს.

შემოქმედებითი აქტივობები საკლასო ოთახში

სამუშაო ფურცლები და შესაბამისი მეთოდური მინიშნებები მოსწავლეთა კრეატიულობის ასამაღლებელი აქტივობებისთვის.

კარაოკე-შხაპი

ეს აქტივობა გაერთიანებული სამეფოს IP ოფისში მოიფიქრეს: მოსწავლეები შედიან შხაპის მსგავს კაბინაში და თავიანთი საყვარელი მომღერლის სიმღერას მღერიან. ამ დროს მეგობრებს შეუძლიათ მათთვის გარედან, ეკრანზე თვალის დევნება და მათი სიმღერისთვის ხმის აყოლებაც.

საბაზო საფეხური

გახსნისა და დახურვის სესიები

მითითებები მასწავლებლებისთვის, თუ როგორ ჩაატარონ 30-წუთიანი გახსნითი სესია, რომელიც შეიცავს მოსწავლეების მიერ ადგილობრივი თემის წარმომადგენელ მოტივატორ სპიკერთან აღებულ ინტერვიუებს ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

შთაგონების აღმძვრელი ვორქშოფები

მითითებები მასწავლებლებისათვის, თუ როგორ მოეწყოს პრაქტიკული სამუშაო შეხვედრები ადგილობრივ შემოქმედებთან, ნოვატორებთან, მეწარმეებთან, დიზაინერებთან, მეცნიერებთან და ა.შ. ეს ვორქშოფები მთელი დღის განმავლობაში უნდა მიმდინარეობდეს და შეიძლება რამოდენიმეჯერ გამეორდეს, რათა მოსწავლეებს რაც შეიძლება მეტ ვორქშოფზე დასწრების საშუალება მიეცეთ. ყველა ვორქშოფმა უნდა უბიძგოს მოსწავლეებს, შეისწავლონ საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალი და, ამავდროულად, მიიღონ შესაბამისი ბმულები ინტელექტუალური საკუთრების თემაზე. ამ აქტივობის მთავარი რესურსია მოტივატორი სპიკერები, რომლებიც გაუძღვებიან ვორქშოფებს. მოტივატორი სპიკერები შეიძლება იყვნენ:

- ქველმოქმედებაში დასაქმებულები / სოციალური მუშაკები;
- ხელოვანები;
- მუსიკოსები;
- პროგრამისტები / ბლოგერები / გეიმერები / სოციალური მედიის კომენტატორები;
- მეწარმეები / ბიზნესმენები;
- სპორტში მომუშავე ადამიანები / მსახიობები;
- მეცნიერები / აკადემიკოსები / მკვლევარები.

ლოგოს დამზადება

მითითებები მასწავლებლებისთის, თუ როგორ ჩაატარონ კლასში ლოგოს დამზადების აქტივობა. მოსწავლეები ქმნიან და ხატავენ ლოგოებს დროშებზე, სამკერდე ნიშნებზე, ქუდებზე ან მაისურებზე. შეუძლიათ, რაიმე სხვა ფორმატშიც დაამზადონ ისინი.

IP-ის მასტერკლასი

ინტელექტუალური საკუთრების სპეციალისტები EUIPO-დან ან ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ოფისიდან, მასწავლებლების დახმარებითა და თანამონაწილეობით, მოსწავლეებთან ატარებენ 45-წუთიან სამუშაო შეხვედრას ინტელექტუალური საკუთრების (IP) თემატიკაზე.

შემოქმედებითი აქტივობები საკლასო ოთახში

შემოქმედებითობა არის უნარი, რომლის დასწავლაც შეიძლება ბავშვების ზრდისა და განვითარების კვალად. სკოლის გარემოში ეს უნარი უნდა წახალისდეს და აღიზარდოს. მასწავლებლებისთვის ხელმისაწვდომია სასწავლო შენიშვნები და რჩევები, რომლებიც დაეხმარებათ, საკლასო ოთახში მეტი შემოქმედებითი საქმიანობა შეიტანონ.

კარაოკე-შხაპი

ეს აქტივობა გაერთიანებული სამეფოს IP ოფისში მოიფიქრეს: მოსწავლეები შედიან შხაპის მსგავს კაბინაში და თავიანთი საყვარელი მომღერლის სიმღერას მღერიან. ამ დროს მეგობრებს შეუძლიათ მათთვის გარედან, ეკრანზე თვალის დევნება და მათი სიმღერისთვის ხმის აყოლებაც.

შემდგომი საქმიანობა

ინტელექტუალური საკუთრების საკითხთა გაცნობის დღის ჩატარების მთავარი მიზანია, ადამიანები ინტელექტუალური საკუთრების თემაზე დააფიქროს. ამდენად, ის ყოველთვის უნდა განიხილებოდეს, როგორც პირველი საფეხური, რომელზე დაყრდნობითაც სამომავლოდაც უნდა გაგრძელდეს სწავლა და ძიება. ეს მომდევნო მუშაობა არსებითად მნიშვნელოვანია ცოდნის მიზნის ბოლომდე მისაღწევად. გთავაზობთ რამდენიმე რჩევას, თუ რა სახით შეუძლია სკოლას ინტელექტუალური საკუთრების საკითხთა გაცნობის დღის შემდგომი სამუშაოების ჩატარება:

კრეატიულობის დღიური

კრეატიულობის დღიურის ჩამოტვირთვა შესაძლებელია ევროკავშირის ნებისმიერი ქვეყნის ენაზე. ის კარგი საწყისი მასალაა მასწავლებლებისთვის, რომლის დახმარებითაც შეუძლიათ, მოსწავლეებს გააცნონ ინტელექტუალური საკუთრების საკითხები, როგორც გაკვეთილებზე, ასევე შინ შესასრულებელი დავალების სახით. დღიურის იდეაა, 21 დღის განმავლობაში ყოველდღე რაიმე შემოქმედებითი აქტივობის შესრულებით მოსწავლეს ახალი ჩვევა გამოუმუშავოს. ბუკლეტის ფორმატი მოსწავლეებს იწვევს, დღეში ერთი შემოქმედებითი გვერდი შეავსონ და ამგვარად ეფექტიანად აღზრდის მათში უფრო შემოქმედებით აზროვნებას.

პროექტების კონკურსი

კონკურსები არის ქმედითი საშუალება, მოსწავლეების გაუჩნდეთ მოტივაცია, შექმნან ნამუშევარი/დაასრულონ პროექტი მოცემულ დედლაინამდე -- იქნება ეს ინდივიდუალურად, ჯგუფურად თუ მთელი კლასის სახელით. კრეატიულობაზე, ინოვაციასა და მეწარმეობაზე ფოკუსირებული პროექტები ყველა ასაკის და უნარის მქონე მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, ნებისმიერი საგნის ფარგლებში ჩაერთოს იმ სფეროს პროექტში, რომელიც მისთვის ყველაზე უფრო მიმზიდველია. სახალისო და პრაქტიკული აქტივობა ინტელექტუალურ საკითხთა გაცნობის დღეზე ნასწავლის განმტკიცებას უწყობს ხელს.

ტალანტების შოუ

ტალანტების შოუს მიზანია, სკოლის საერთო ღონისძიებაში აქტიურად ჩართოს რაც შეიძლება მეტი მოსწავლე. შოუ შეიძლება წარმოაჩენდეს სხვადასხვა სფეროს, როგორიცაა ხელოვნება, მეცნიერება, ბიზნესი, საშემსრულებლო ხელოვნება, პოეზია, ლიტერატურა, სპორტი, ა.შ. სკოლამ ის შეიძლება გამოიყენოს შესაძლებლობად, მოიწვიოს მშობლები და სტუმრები, რათა მათ ნახონ, რა სამუშაო ტარდება მთელი სკოლის მოსწავლეებთან მათში კრეატიულობის, ნოვატორობისა და მეწარმეობის აღსაზრდელად.

სხვადასხვა საგნის გამჭოლი პროექტები

ინტელექტუალური საკუთრების საკითხთა გაცნობის დღის მომდევნო მუშაობის თვალსაზრისით ძალიან ეფექტიანი იქნება, თუ სხვადასხვა საგნისა და დარგის მასწავლებლები ერთად იმუშავებენ და იპოვიან საკუთარი და კოლეგების საგანთა გამჭოლ ბმულებსა და თემებს.

სხვა შესაძლო იდეები

- სამეწარმეო პროექტებთან დაკავშირებული კონკურსი „ლიფტის ფიჩის“ სტილში, რომელიც ტალანტების შოუს ნაწილი იქნება;
- გამოფენა მოწვეული სტუმრების (სხვადასხვა ბიზნესში ჩართული ადგილობრივები) მონაწილეობით;
- სკოლის ვებგვერდზე პრეზენტაციის ვიდეოების განთავსება;
- სკოლის ღია კარის დღეზე მშობლების ჩართვა „მყიდველების“ როლში: მათთვის მოზარდ მეწარმეებს/შემოქმედებს შეეძლებათ თავიანთი ნაწარმის ან მომსახურების მიყიდვა, შესაძლოა, შემდეგ თავიანთი მოგების ნაწილის საქველმოქმედო მიზნებისთვის გადარიცხვით;
- გამოფენები ხელოვნებისა და ხალხური რეწვის, ციფრული ტექნოლოგიების, ფოტოგრაფიის და სხვა თემებზე;
- თამაშები, კონცერტები, საავტორო მუსიკალური ნომრები.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და მასალების ჩამოსატვირთად ეწვიეთ ვებგვერდს: www.ideaspowered.eu
ან გაგზავნეთ წერილი მისამართზე: IPinEducation@euipo.europa.eu

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

EUGIPP
ევროკავშირისა და საქართველოს ეროვნული ინტელექტუალური საკუთრების ბუნაგებ

საქართველოს ეროვნული ინტელექტუალური საკუთრების ცენტრი
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA
www.sakpatenti.gov.ge

ideas powered @SCHOOL

EUIPO
EUROPEAN UNION INTELLECTUAL PROPERTY OFFICE